სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება #118/06

ერთის მხრივ, სსიპ ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი'' წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შპს ,,ადა'' წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მესამე პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შეაბამისად (SMP 230000363), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საერთაშორისო პროექტ/გრანტის ,,DAAD SDG-კავკასი"-ის ფარგლებში კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარები (CPV- 30200000 კომპიუტერული მოწყობილებები და აქსესუარები) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

#	დასახელება	რაო.	ზ-ერთ	ერთ.ფასი	საერთო ფასი	გარანტია	CPV
1	პროცესორი intel Core i7-12700, LGA1700, 210-4 90GHz, Core 12, Threads 20, Cache 25 MB, intel UHD Graphics 770, Alder Lake, Trey	1	ცალი	1 080	1 080	1 წელი	30237140
2	SSD დისკი 500Gb Kingston FURY Renegade (SFYRS/500G) internal SSD, M.2, 500 GB, PCI-E 4.0 x4, NVMe, read: 7300 MB/s, write: 3900 MB/s, TLC	1	ცალი	316	316	1 წელი	30233131
3	მყარი დისკი HDD 1TB Seagate barracuda st 1000dm010 7200rpm 64MB 6GB/s 3.5''	1	ცალი	113	113	1 წელი	30233131
4	ქულერი Zalman CPU cooling system cnps10x performa vlack 2066.2011.v3.2011.1200.115X.1700. (Zm-1700MKa)(CNPS10Xperformablack) AM4,135mm.TdP180w.	1	ცალი	137	137	1 წელი	30237000
5	კომპიტერის ქეისი Zalman i3 midt,2*usb2.0,1*usb3.0,4*120mm white led, acrylic without psu, black.	1	ცალი	230	230	1 წელი	30237000
6	უწყვეტი კვების წყარო legranda line interactive ups keor sp 2000 va	1	ცალი	617	617	1 წელი	30237280
7	დედა დაფა ASUS PRIME H610M-A D4 (90MB19P0-MDEAYOLGA 1700, Intel H610, 2xDDR4, PCI-E 4.0, 3xM.2, 2xUS8 3.2 Gen2 HDMI, DisplayPort mATX	1	ცალი	305	305	1 წელი	30237140

8	ვიდეო ბარათი Asus DUAL RTX3060TI OBG-MINI-V2 90YVOFTZ MONADO PCI Express 4.0, Core 4864, Memory 256-bit, 24 Gbps, 1xHDMI, 3xDP, 750W	1	ცალი	1 450	1 450	1 წელი	30237134
9	ოპერატიული მეხსიერება 16GB TEAM ELITE UD-D4 DDR4 1668 1200 TED4566320002201	2	ცალი	123	246	1 წელი	30233110
10	კვების ბლოკი XILENCE 80+ GOLD modular XNO74 XP8SOMRS 850W Ver 2.4 CE/TUV/ROHS	1	ცალი	370	370	1 წელი	30237280
11	მონიტორი Lenovo ThinkVision S24E-20 23.8 va fhd, 60hz, 2501 nits, 3000:1, 178x178, 4ms, 1xhdmi, 1xvga, 3yrw	1	ცალი	440	440	1 წელი	30213100
12	კლავიატურა Dell Multimedia Keyboard-KEZIB Russia (CWEETY) - Black	1	ცალი	29	29	1 წელი	30237460
13	მაუსი A4Tech-N500FS, V-TRACK PADLESS MOUSE WITH SILENCE	1	ცალი	20	20	1 წელი	30237410
სულ ჯამი							5 353,00 ლარი

2.2. შესყიდვის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: 5 353.00 (ხუთი ათას სამას ორმოცდაცამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი.

3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

3.3. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღებაჩაბარების აქტისა და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, საქონლის მიწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული მაინსპექტირებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე, მხარეთა შორის გაფორმებული მირება-ჩაბარების აქტის საფუძველძზე.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირები არიან: ელგუჯა ობოლაძე (თსუ-ს საწყობის უფროსი), გიორგი ტალახაძე (თსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი).

5.3. ინსპექტირების უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 2 დღის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდრული დღე.

6.2. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს შემსყიდველის შემდეგ მისამართზე: ი.ჭავჭავაძის გამზ N1 (თსუ-ს საწყობი).

7. საგარანტიო პირობები

7.1 საქონლის ინსპექტირების პერიოდში, ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (მათ შორის ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში შეაკეთოს ან შეცვალოს საქონელი ახლით.

7.2 ექსპულატაციის პროცესში საგარანტიო პერიდის განმავლობაში, მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ ,, მიმწოდებელს“. მისი წარმომადგენლის მიერ საკუთარი ხარჯებით შეტყობინებიდან არაუგვინეს 3 (სამი) დღის ვადაში ახდენს რეაგირებას.

7.3 ორი სამუშო დღის ვადაში მხარეთა შეთანხმებით დგება დეფექტური აქტი რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებსა და მათ ხანგრძლივობას. თუ სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე სერვისი უნდა განხორციელდეს არუმეტეს 15 დღისა.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1.ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „მიმწოდებელი“ იტოვებს

უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისთვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება. ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე; გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე; დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა მიწოდების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს: ა) შესყიდვის ობიექტის განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება; ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიწოდება

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 298-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 298–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 30 (ოცდაათ) კალენდარულ დაღეს ან დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულებას 3(სამი) პროცენტით შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 1-ელი აგვისტოს ჩათვლით.

14.3 ხელშეკრულების საგარანტიო პირობები მოქმედებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემოდგომაც საგარანტიო ვადიოს ამოწურვამდე.

14.4 შემსყიდველის მხრიდან აღნიშნულ შესყიდვაში მონაწილე და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტი	შპს,,ადა“
მის: ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #1	**მის:**ქ.თბილისი, მიცკევიჩის #4
რეკვიზიტები	**რეკვიზიტები**
გრანტი	სს,,თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ნ: GE62TB7925636020100005
ს/კ 204864548	**ს/კ** 405027830

ლაშა საღინაძე

ADA LLC

Digitally signed by ADA LLC
Date: 2023.02.07 13:33:54 +04'00'

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.02.07 13:41:32 +04'00'